MES 2 20 00463431

12/06/2020

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 29.05.2020**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:23 სთ**
**სხდომის თვმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა**
**სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**9. გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
**10. ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
**11. ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი (სხდომის მდივანი);

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 2 | მარიამ გრიგალაშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 4 | ქეთევან თელია | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ირინე კვაჭაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 2 | ლევან ბარამიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 3 | ეკა მირველაშვილი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის განმახორციელებელი | I |
| 4 | დავით გელოვანი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 5 | თინათინ ღუდუშაური | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი | II |
| 6 | დავით ბერიკაშვილი | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 7 | სოსო გოგილიძე | | პრორექტორი სასწავლო დარგში | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | | |
| 8 | ჯონი მწარიაშვილი | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | ავტორიზაციის განყოფილების უფროსი | II |
| 9 | არჩილ ჯანგირაშვილი | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | II |

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | თამარ ლობჟანიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ცოტნე სამადაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ემზარ კახიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მე-4 და მე-5 საკითხის განხილვა გადაიდო დაწესებულების წარმომადგენლების მოწვევისა და საკითხების მათი მონაწილეობით განხილვის მოტივაციით.**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**1.პირველი საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2011 წლის 21 ოქტომბერი, N128 გადაწყვეტილება. |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, 0186 (0177) ვაჟა-ფშაველას გამზ. 33. |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- კი

თვითაცილება განაცხადა ეკა ეკალაძემ.
**თვითაცილების საფუძველი:** შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

სხოდმის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სახდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს. მან აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო შეხვედრა იყო, რომელიც შედგა 21 აპრილს, "ონლაინ" რეჟიმში, რომელშიც ექსპერტთა სამივე წევრი იღებდა მონაწილეობას და ასევე აღნიშნა კეთილგანწყობილი გარემოს არსებობის შესახებ. შესაბამისად, ექსპერტებს ჰქონდათ კარგი სამუშაო გარემო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ერთიანობაში თითქოს ნაჩქარევად იყო გაკეთებული, რაც არაერთხელ აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფმა. ამას გარდა არაერთი შეხვედრა განხორციელდა, რის შედეგადაც ექსპერტთა ჯგუფის არაერთ საკითხზე პოზიტიურად განეწყვნენ. ექსპერტთა თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე.
1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანის ფორმულირება დაიხვეწოს სიცხადისა და სამაგისტრო საფეხურის დონის მოთხოვნებთან მიმართებაში;
2. მოხდეს კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში საგნებში ასახული სწავლების შედეგების გათვალისწინება, რათა თვალნათლივ იქნეს წარმოდგენილი კურიკულუმის სწავლის შედეგების მიღწევის მახასიათებლების: „გაცნობა" სიღრმე" „განმტკიცება" მიხედვით საგნების შედეგებთან კავშირების განსაზღვრა;
3. სწავლის შედეგების ფორმირებისას მეტად გამოკვეთილ იქნეს დარგობრივი სპეციფიკა და სწავლების საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნები;
4. სილაბუსი " ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის" არის შედეგების გარეშე, ვფიქრობთ რომ არის ტექნიკური ხარვეზი, რაც უნდა გასწორდეს, ასევე საგანს „პროექტის დაწერა" აქვს სათაურთან შეუსაბამო მიზანი, შედეგი კი შეუსაბამო საგნის შინაარსთან. საგნებს აქვს წინაპიროებები, რომელთა დასახელება კურიკულუმში არ გვხვდება ( მაგ.საგანი „პროექტის დაწერა", ეპიდემიოლოგია 2 და სხვა) საგანს „სასწავლო-პროფესიული პრაქტიკა"საერთოდ არ აქვს წინაპირობა, მესამე სემესტრის საგანია, გარკვეული დონის ცოდნისა და უნარების გარეშე პირდაპირ პრაქტიკაზე წასვლა არ არის მართებული. შეჯამების სახით საგანების სილაბუსები მოითხოვს სწავლის მიზნების, შედეგებისა და წინაპირობების სათანადო დაკორექტირებას;
5. საგნებში: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები", „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება" დაცულ იქნეს სემესტრში კრედიტის მინიჭების პრინციპები;
6. საგნების (მაგალითად, „პროექტის დაწერა", „ეპიდემიოლოგია I, „ეპიდემიოლოგია 2" ) სილაბუსებში, სადაც მოცემულია ხანდაზმული ლიტერატურა განახლებულ იქნეს შესაბამისი ახალი ლიტერატურით, ამავე დროს გადახედულ იქნეს საგნებში: „პროექტის დაწერა", „ეპიდემიოლოგია 1" „ეპიდემიოლოგია 2"- ის ძირითად სასწავლო ლიტერატურა, რადგან სამივეში მოწოდებულია ორი ერთი და იგივე ლიტერატურა. ვფიქრობთ, რომ აქტიურად უნდა

გამოყენებულ იქნეს შესაბამისი დაგობრივი სამეცნიერო ჟურნალები რელევანტური თემატური სტატიებით ;
7. "სასწავლო-პროფესიული პრაქტიკა" სილაბუსში სწვლების შედეგთან მიმართებაში გაიწეროს უშუალოდ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, სადაც ჩართული იქნება დამსაქმებელი, ან პრაქტიკის მენტორი;
8. საგნების (მაგ.:საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, „პროექტის დაწერა",ეპიდემიოლოგია I და სხვა,) სილაბუსებში სადაც მოცემულია სწავლება და თემატიკა „დღეებზე" გაწერით ( მაგალითად დღე 5-6, ან დღე 18-19-20) , წარმოდგენილ იქნეს სასწავლო კვირეების წარმოჩენით, ასევე დღეში თემატიკის ლექციისა და პრაქტიკულის საკონტაქტო სთ-ის რაოდენობის მითითებით;
9. შესაბამის სილაბუსებთან მიმართებაში მეტად წარმოჩნდეს და გამოყენებულ იქნეს კრიტიკულიანალიზისადააზროვნების,კვლევითიპროექტისწერის დასხვამეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობენ იდეების ფორმირებას, კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას (მაგ.ეპიდემიოლოგია 2-ისთვის კრიტიკული ანალიზი მნიშვნელოვანია, „პროექტის დაწერა" შეფასებები არის მხოლოდ ტესტებით, ხოლო პროცესში არ ჩანს პროექტის წერის უნარის გამომუშავების მეთოდი )
10. განხორციელდეს ინდივიდუალური საუნივერსიტეტო საკომუნიკაციო არხების მეტი ინტენსიური გამოყენება საპირისპიროდ სოციალური ქსელ ფბ-ის მეშვეობით სასწავლო მასალების მ.შ. პრეზენტაციის მიწოდების ან ლექტორთან კომუნიკაციისას;
11. სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალურად აირჩიონ საგნები მ.შ. პროგრამის ძირითადი, დაგეგმონ სემესტრი.
12. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებში მეტი ჩართულობა, ასევე პროფესორ მასწავლებების მეტი ტრენირება სწავლების შეფასების სისტემებისა და მეთოდების, ასევე სწავლის შედეგების შესახებ
13. ეფექტური ფინანსური მოტივაციების სისტემის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების კვლევებში მეტ ჩართულობას, საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას, დენადობის შემცირებას.

**სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვა წარმოედგინათ პოზიცია.**

დაწესებულებების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით სურვილი გამოთქვა ყურადღება გაემახვილებინა სამაგისტრო პროგრამის მიზანზე. მისი განმარტებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სწავლის შედეგებზე და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის გამოყენებაზე ფოკუსირებული მიდგომით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები. პირველი ეს არის პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი პროგრამების დაგეგმვის და განხორციელებისთვის. საზოგადოებრივი ჯანდაცვითი განათლება ეს არის პოპულაციური ჯანმრელობა და ჯანმრთელობის სისტემები. თუ ვსაუბრობთ რა არის პრევენციული და ჯანმრთელობის ხელმშემწყობი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, ეს არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეს არის ის რისკენაც მიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვა და რასაც ახორციელებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსი და ბუნება სწორედ ამაში გამოიხატება, ამის უკან დგას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიტიკული პრობლემის დიაგნოსტირება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარების ეფექტური პოლიტიკა, მისი მიზნები, პრიორიტეტების ჩამოყალიბება და რა თქმა უნდა, არამარტო დღევანდელი, არამედ საერთოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვა ამას ეხმიანება.

შემდგომში მისი პროგრამირება და ბიუჯეტირება კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ერთი მნიშვნელოვანი, სიტუაციური ანალიზი და საჭიროებათა შეფასება, რომელიც ამ მიზნის უკან დგას ეს არის მათი პროფესია, ეს არის ის უდიდესი მიზანი, რომელსაც ისახავს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თუ ადამიანმა იცის როგორ გააკეთოს საჭიროება და შეფასება, მან იცის როგორ დაგეგმოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა და როგორ განახორციელოს ის, როგორ შეაფასოს ის. დაწესებულების წარმომადგენელმა გადაჭრით თქვა, რომ სტუდენტმა იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა, იცის როგორც იგეგმება ის, მაგრამ არ შეუძლია დადგეს ველზე და ამის იმპლემენტაცია მოახდინოს, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად საჭიროებათა შეფასების გაკეთება, მას არ შეუძლია მონიტორინგის და შეფასების გაკეთება, ეს ურთულესი დიზაინია და რა თქმა უნდა, თუ უნივერსიტეტი ამას ისახავს მიზნად და ამის უკან რაც დგას იმ ცოდნას და უნარებს აძლევს მაგისტრებს რა თქმა უნდა ეს ნიშნავს, რომ ისინი ყალიბდებიან პროფესიონალებად და მათი ცოდნა და უნარები შეესაბამება იმ დონეს, რომელიც არის მაგისტრატურის საფეხური. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული ასახულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიზნებში და მეორეს მხრივ, თავად აღნიშნული წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის მიზანსაც.

მეორე მიზანი, ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების და შესაბამისი დაწესებულების, ჯანდაცვის შესაბამისი მწარმომებელი და მიმწოდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მენეჯმენტის უზრუნველყოფაა. როგორ არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა ბმაში ფუნქციებთან, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სერვისების წარმოება და მიწოდება მათთვის რთულია და ამ მიზანს ისახავს არა საბაკალავრო პროგრამა, არამედ სამაგისტრო. ხოლო მეორე მხრივ, თუ ადამიანს შეუძლია ასეთი სერვისების წარმოება და იმ დეკლარირებული სერვისების რაც უნივერსიტეტში მოქნილი არარის და არის მსოფლიოს წამყვანი დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრების შემოთავაზეული თუ ამ სერვისების წარმოება შეუძლია ადამიანს და მიწოდება რა თქმა უნდა, ის არის მაღალი დონის კვალიფიციური პროფესიონალი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

სხდომის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რეკომედაცია ეხებოდა არა იმას, რომ უნივერსიტეტი არასწორ მიმართულებას აძლევს ამ ყველაფერს, არამედ ეს საერთოდ არ ეხებოდა შინაარსს. მან სთხოვა ეს განემარტათ, რადგან ფორმულირება დაკავშირებულია ხარისხთან, ანუ ხარისხის სტანდარტზე და არა შინაარსობრივ სტანდარტზე, ანუ დაწესებულებას არავინ ედავებოდა შინაარსზე, უბრალოდ საუბარი იყო ტერმინოლოგიის გამოყენებაზე და იმაზე, რაც განასხვავებდა მეექვსე დონეს მეშვიდესგან. აღნიშნული რეკომენდაცია არა პროგრამის ხელმძღვანელთან, არამედ უფრო ხარისხის სამსახურთან იყო დაკავშირებული. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ფორმულირება გაეკეთებინათ ისე, რომ გამიჯვნადი ყოფილიყო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამისგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრევენციული და ჯანმრთელობის პრევენციული პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია ბაკალავრს, მას შეუძლია თქვას რა ფუნქციები რა სერვისები აქვს, რა ბმა არის მათ შორის, მას შეუძლია მონაწილეობაც მიიღოს, მაგრამ მას არ შეუძლია სერვისი აწარმოოს და მიაწოდოს, ის არც არის ამაში ვალდებული. აღნიშნული შეუძლია მაგისტრს. მაგისტრს შეუძლია საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაგეგმვა, მონიტორინგის განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში გასაგებად წერია, რომ სერვისის წარმოება და მიწოდება ზედა საფეხურად იგულისხმება, ბაკალავრს არ შეუძლია აწარმოოს ეს სერვისი, ამას არ ითვალისწინებს ბაკალავრიატის ფორმატი. აღნიშნული ევალება მაგისტრს, რომელიც უკვე ველზე და პროფესიაშია, ხოლო ბაკალავრი არ გადის ველზე და მისი ფორმატიც არ ითვალისწინებს აღნიშნულს.

სხდომის თავმჯდომარის თქმით დაწესებუბლების წარმომადგენლის წარმოთქმული არგუმენტი მისაღებია საბჭოს წევრებისთვის.

ამასთანავე დაწესებულების წარმომადგენელი გამოეხმაურა ერთ-ერთ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სილაბუსს-ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის, რომელიც ექსპერტთა თქმით შედეგების გარეშეა. თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ აღნიშნული შესაძლოა ხარვეზი ყოფილიყო, რადგან მათ მიერ გაგზავნილ ვერსიაში აღნიშნული შედეგები გათვალისწინებული იყო. მან თხოვა კომისიას მოეძიებინა აღნიშნული გზავნილი.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე გამოეხმაურა შემდეგ რეკომენდაციას, რომ სათაური არ იყო მიზანთან შესაბამისობაში. მისი თქმით კი, კვლევის მიზანია შეასწავლოს მაგისტრს საერთაშორისო კონფერენციისთვის მომზადება და სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება შესაფერისი ჟურნალისთვის. ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანია მაგისტრანტთათვის რადგან შესაძლებელია იყოს თეზისის ნაწილიც. წარმომადგენელის თქმით სწორედ ეს არის მიზნები, ხოლო რაც შეეხება შინაარს, თუ ადამიანმა იცის როგორ ჩამოაყალიბოს კვლევის კითხვა, როგორ მოიძიოს შესაბამისი ლიტერატურა, როგორ მოახდინოს ჰიპოთეზის ტესტირება, შემდეგ როგორ გამოიყენოს შედეგები მისი კონკრეტული მიზნის მისაღწევად და შეუძლია მათი რეალურად წარმოდგენა და წარმოჩენა, მაშინ ყველაფერი ნათელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ შეფასება ხდებოდა დიდი პროცენტულობით მაგისტრანტის აქტივობაში. მისი თქმით, აღნიშნულის შესახებ გაჟღერებული იყო, რომ ის არ წარმოაჩენს მაგისტრანტის უნარს. აქტივობის ქულა, რომელიც გაწერილია სილაბუსში სხვა არაფერია თუ არა პროექტის მომზადება. ამ 40 ქულიანი აქტივობის მანძილზე ზუსტად ამ საფეხურებს გადის მაგისტრანტი თავის ხელმძღვანელთან ერთად და ამას სწავლობს რეალურად. ასეთი პროცენტი და წილი იმიტომ აქვს მას, რომ ზუსტად ეს უნდა გაკეთდეს ამ სასწავლო კურსის დროს.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა საბჭოს წევრებს და მოახსენა უნივერსიტეტის პოზიცია მეშვიდე და მერვე რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მეშვიდე რეკომენდაციაში საუბარი იყო სასწავლო პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში სწავლების შედეგების მიმართებაში გაწერილიყო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, სადაც ჩართული იქნებოდა დამსაქმებელი ან პრაქტიკის მენტორი. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით სილაბუსში მითითებულია, რომ შუალედური შეფასებების 60 ქულიდან 40 ქულა დათმობილი აქვს მაგისტრანტის პრაქტიკულ აქტივობას და ამ შეფასებას ახდენს მენტორი მაგისტრანტის მიერ პრაქტიკულ დაწესებულებაში გავლილი პრაქტიკის შესაბამისად. კერძოდ, მაგისტრანტის აქტივობის შესაფასებლად განსაზღვრულია ინდივიდუალური სამუშაო გეგმა და შესრულების პირობები იმ ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სადაც ტარდება პრაქტიკა. ასეთი შეიძლება იყოს ერთ შემთხვევაში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, სხვა შემთხვევაში თბილისის გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი და რამდენიმე სხვადასხვა დაწესებულება. ამ გეგმის შესრულების კონტროლს ახორციელებს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელსაც შეუძლია გარკვეული ცვლილებები შეიტანოს გეგმაში, მოწმდება მაგისტრანტის მიერ დავალების შესრულების ხარისხი, მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის უნარი, გამოყენებული მეთოდების შესაბამისობა დასახული ამოცანის პირობასთან, მაგისტრანტის მიერ გაკეთებული ჩანაწერები და დოკუმენტაცია, კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურიერთობის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი. მაგისტრანტის მიერ შესრულებული ყოველდღიური სამუშაო ფასდება 48 დღიდან 40 დღის განმავლობაში, ანუ 40 დღე მაგისტრანტი ყოველდღიურ შეფასებას იღებს თუ რამდენად სრულყოფილად შეასრულა იმ დღის დავალება. ასეთი დავალების შინაარსი და შესრულებული სამუშაოს ხასიათი შესაძლებელია გარკვეულწილად იყოს განსხვავებული იმის და მიხედვით, თუ როგორია კონკრეტული დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკა, მაგალითად ეს შეიძლება მოიცავდეს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მისი დეტერმინანტების მონიტორინგს ერთ შემთხვევაში, სხვა შემთხვევაში, დაავადებათა პრევენციისა და ადრეული გამოვლინების პროგრამები, როგორიცაა ინფექციურ დაავადებათა

ზედამხედველობა, იმუნიზაციის პროგრამა, თამბაქოს კონტროლი, ონკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი. იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის ხელშეწყობისაკენ, ასევე ღონისძიებებს რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ინდივიდუალურ დონეზე კონტროლს, მაგალითად სურსათის უვნებლობა, ჰაერის და სასმელი წყლის სტანდარტები, ნარჩენი პროდუქტების მენეჯმენტი და ა.შ. ესეიგი პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, იმ კონკრეტულ დაწესებულებაში სადაც მაგისტრანტს უხდება პრაქტიკის გავლა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ე.წ. ფორმა ანუ პრაქტიკის დღიური ივსება მენტორის მიერ განსაზღვრული შეფასებებით, ფიქსირდება შეფასებს კრიტერიუმები, მოწმდება თავად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და აღნიშნული ყველაფრისთვის პრაქტიკული შუალედური შეფასებებიდან გათვალისიწნებული გახლავთ 40 ქულა. გარდა ამისა, ხდება შუალედურ შეფასებათა ჯამში აგრეთვე გათვალისწინება 10 ქულის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ მომზადებული ინდივიდუალური ნაშრომის შექმნასთან დაკავშირებით და ერთხელ პრაქტიკის განმავლობაში ხდება ტესტური შეფასება 10 ქულის ფარგლებში. ყოველ კონკრეტულ დაწესებულებაში, პრაქტიკის დღიურში ასახულია თუ რა პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს მაგისტრანტი. სილაბუსში 40 ქულა გაწერილია, რომ 48 დღის განმავლობაში ხდება შეფასება ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს სიხშირის მიხედვით, რაც დაფიქსირებულია პრაქტიკის ჟურნალში.

მეორე საკითხთან დაკავშირებთ, რომელიც ეხებოდა საგნებს ჯანდაცვის პოლიტიკა, პრაქტიკა, პროექტის დაწერა, ეპიდემიოლოგია 1 და სხვა, სილაბუსებში, სადაც მოცემულია სწავლება და თემატიკა დღეებზე გაწერით, მაგალითად 5-6 ან 18-19-20 დღე წარმოდგენილ იქნეს სასწავლო დღეების წარმოჩენით. ასევე დღეში თემატიკის ლექციისა და პრაქტიკული საკნტაქტო საათის რაოდენობის მითითებით. აღნიშნულთან დაკავშირებთ, პროგრამის ხელმძღვანელმა ბრძანა, რომ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლება კურაციულად. მაგალითად კურაციული სწავლება გულისხმობს თუ კურაცია განსაზღვრული არის 1 ივნისიდან, მაგალითად 26 ივნისის ჩათვლით, კვირაში ყოველთვის 3 დღე, ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი გათვალისწინებულია საკონტაქტო საათების შესასრულებლად. 1 დღის განმავლოაში 1 საათი ეთმობა ლექციას, ხოლო 3 საათი ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას. შესაბამისად, გაწერილია დღეები კვირების მიხედვით. თუ მაგალითად იგივე, მსგავსი საგანი შეიძლება გაწერილი იყოს 30 ივნისიდან 27 ივლისის ჩათვლით, იგივე დღეებში ანუ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს იქნება მეცადინეობები ჩატარებული. 27-ში რომელიც ორშაბათია დამთავრდება იმ საგნის სწავლება და დაიწყება ახალი საგნის სწავლება. საათებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა ბრძანა, რომ თითეულ სილაბუსში, რომელიც მითითებულია თემატურ გეგმაში ასახულია. მაგალითად პირველ დღეს, მითითებულია თემტიკა რაც უნდა იქნეს განხილული ლექციაზე და პრაქტიკულზე და ასევე მითითებულია, რომ 1 საათი ეთმობა ლექციას, 3 საათი - პრაქტიკულს. არის 4-5-6 დღე, რომელიც ერთ თემასთან არის დაკავშირებული და შესაბამისად მითითებულია, რომ ამ თემის შესაბამისად მეცადინეობები 4-5-6 დღეს ჯამურად მოიცავს 3 საათს ლექციას, ანუ თითო საათი ყოველ დღე და 9 საათს პრაქტიკულს, ანუ თითო დღეს სამ-სამი საათი. ასევე გაწერილია 4 დღიანი სამუშაო თემა და შესაბამისად, იქ იქნება მითითებული 4 საათი ლექცია და 12 საათი პრაქტიკული მეცადინეობები. ანუ ასეთი საათობრივი გაწერა არის დღიური სწავლება, ანუ კვირეული სწავლება პროგრამაზე განიხილება კურაციულ სწავლებად. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ბრძანა, რომ ასეთი საათების გაწერა სამივე სილაბუსში იყო გაწერილი.

პროგრამის ხელმძღვნელმა ბატონმა ლევან ბარამიძემ საჭოს წევრებს მოახსენა ის საკითხები, რაც დარჩა რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

მან საუბარი დაიწყო მეექვსე რეკომენდაციით, რომელთა შესახებაც საუბარი უკვე იყო თუმცა მან დაამატა, რომ იმ საგნებზე, რომლებიცაა ეპიდემიოლოგია 1, პროექტის დაწერა, ეპიდემილოგია 2, სილაბუსებში, სადაც მოცემულია ხანდაზმული ლიტერატურა, ამავე დროს უნდა გადახედულიყო საგნებში პროექტების დაწერა ეპიდემიოლოგია 1, ეპიდემიოლოგია 2, სასწავლო ლიტერატურა, რადგან სამივეში მოცემული იყო ერთი და იგივე სახელმძღვანელო.

ასევე გამოყენებულიყო შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები და რელევანტური თემატური საკითხები.
პროგრამის ხელმძღვნელმა ბატონმა ლევან ბარამიძემ განაცხადა, რომ ის თანახმა იყო ახალი, მოდელირებული ლიტერატურის მნიშვნელობაზე, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ ლიტერატურა რომელიც არის განკუთვნილი სასწავლო პროცესისათვის საკმაოდ რთული რამ არის და ძნელად დასაწერი და ძნელად გასაკეთებელი. მათი მეცადინეობა იმ მრავალჯერადი წიგნებისა, რომელიც არსებობს ეპიდემიოლოგიაში, თუნდაც სტატისტიკურ ეპიდემიოლოგიაში, კვლევის მეთოდებში, გამოვიკვლიოთ და ვასწავლოთ იმ მეთოდებით, რომელიც არის ყველაზე უფრო ადვილად გასაგები და შესაძლებლობა არის იმის, რომ მაგისტრანტებმა სწორედ გაიგონ და აღიქვან. ისინი ამაზე მუშაობენ. აქედან გამომდნარე, ის საბაზისო წიგნები, რომლებიც მოცემულია დღეს და ეპიდემიოლოგია 1 და 2-ის სილაბუსში წერია, რომ უმატებენ ყველანაირ handout-ებს და იმ ახალ ინფორმაციას, რომელიც არსებობს, მაგრამ საბაზისო კვლევები და საბაზისო წიგნები რატომ აქვთ არჩეული შედარებით ძველი პირველადი, იმიტომ რომ მათში კარგად და გასაგებად არის განმარტებული ესა თუ ის საკითხი. ამასთან, ინგლისურენოვანია და შეარჩიეს, ის რომელიც იდეალურ ვარიანტს წარმოადგენდა. ეს ეპიდემიოლოგიის წიგნები რომელიც არის essentials of epidemiology in public health ეს არის ჰარვარდის პროფესორების მიერ და ბოსტონის უნივერსიტეტების პროფესორების მიერ აღიარებული და მათ მიერ დაწერილი, რომლებმაც განახლებები გააკეთეს, მაგრამ არ შეუცვლიათ პრინციპები, რადგანაც შეუძლებელია შეიცვალოს ეპიდემიოლოგიის პრინციპი, ის როგორც 20 წლის წინ იყო, დღესაც იგივეა და დიდი ალბათობით მომავალი 20 წლის შემდეგად იგივე იქნება. ისევეა კვლევის მეთოდების შემთხვევაშიც, როგორიცაა წრფივი მეთოდები, რეტროსპექტული, ასევე "case control", კლინიკური კვლევა არ იცვლება და პროგრამის მიზანია ასწავლოს სტუდენტებს ის ნიუანსები და შეცდომები, რომელიც მსოფლიოში დაშვებულ იქნა. პროგრამის ხელმძღვნელი ბატონი ლევან ბარამიძემ განმარტა, რომ ის აბსოლუტურად ეთანხმება განახლებული წიგნები ახალ "ქეისებზეა" დაყრდნობილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ეს გემოვნების საკითხი შეიძლება იყოს. ზოგიერთ პროფესორს შეიძლება ძველ ლიტერატურასთან ანუ წიგნებთან მუშაობა უფრო სასარგებლოდ მიაჩნდეს, თუმცა ამის მიუხედავად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დიდი რაოდენობითაა ელექტრონული წიგნები როგორც გასული წლების, ასევე წლევანდელით. თუმცა მთავარი არის ის, რომ ძველ ლიტერატურაში პროფესორიები ცვლიან არა მიდგომებს არამედ ხედვებს და მასალებს, რომლებზეც ხდება დაფუძნება, რადგან მათი საფუძვლები არ იცვლება. ასევე სილაბუსებში და handout-ში მითითებულია, რომ სტუდენტებს პროფესორებისგან ეძლევათ ის ბოლო ინფორმაცია რაც მათ ხელ ეწიფებად.
პროგრამის ხელმძღვნელი ბატონი ლევან ბარამიძე ასევე გამოეხმაურა ექსპერტთა ჯგუფის მე-10 რეკომენდაციას. მისი თქმით უნივერსიტეტს თავისი დამოუკიდებელი ხედვები აქვს, რაც გამოიხატება სერიოზულ და მთავარ პლათფორმაში, რომელიც ორიენტირებულია Google-ზე, თუმცა ასევე იყენებენ Facebook-ს, Zoom-ს. შესაბამისად როგორც აღნიშნა, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებს სტუდენტებთან საურთიერთობოდ.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა თქვა, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თავად აირჩიონ არჩევითი საგნები, ხოლო ძირითადი საგნის შემთხვევაში ამას წყვეტენ პროგრამის ხელმძღვანელები, როგორც პროფესიონალები, რადგანაც ძირითადი საგნების უპირველესად გავლა მნიშვნელოვანია მათში საბაზისო ელემენტების გამო. ის ეთანხმება რეკომენდაციას, რომ მათ შეუძლიათ გაზარდონ არჩევითი საგნების რაოდენობა იმის მიხედვით რა ტენდენციები, მოთხოვნები არსებობს საქართველოში.
ასევე შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტს მეტი საშუალება ექნებოდა, რომ აკადემიური პერსონალი მეტად ჩაერთო სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, მოეხდინა მათი მეტი

დატრენინგება, საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღება. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ ისეთი კარგი და თანამედროვე პროფესიონალები, როგორებიც ყავთ დაახლოებით წელიწადი და რვა თვე საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მუშაობენ და მათ არაერთ პროექტში უკვე აქვთ მონაწილეობა მიღებული. აქედან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელობა ითვალისიწინებს რეკომენდაციებს და ასევე მათი ხედვაც უნდა იქნეს გააზრებული, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ იმ პროფესორ-მასწავლებლების დაფინანსებას, რომლებსაც საზღვარგარეთ გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებენ.

კვლევებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით კვლევა აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომისთვის, თუმცა გემოვნების საკითხია ვინ როგორ კვლევას აირჩევს და რა ტიპს. ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტებს მეტი საშუალება უნდა მიცემოდათ აერჩიათ საგნები და ასევე ნათელია, რომ სტუდენტთა ძალიან დიდი ნაწილი ტუტორს მიმართავს დასახმარებლად, როცა კვლევით საქმიანობას 10% ირჩევს.

საბოლოო სახით კი, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობა გარკვეულწილად ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების პრინციპულ საკითხებს და ასევე გასათვალიწინებელი იყო უნივერსიტეტის შეხედულებები და ტრადიციული მეთოდები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა როგორც ექსპერტთა მიმართ, ასევე დაწესებულების.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მიუხედავად იმის, რომ სტუდენტ-ექსპერტი არ ესწრებოდა საბჭოს, მან ითხოვა დაესვა რამოდენიმრ კითხვა რეკომენდაციებთან მიმართებით, რომელზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დაწესებულებას შეეძლო ეპასუხა. როგორც მან თქვა, მან გულდასმით შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში მესამე სტანდარტთან მიმართებით და ასევე დასკვნაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიც ერთმანეთს დაადარა და ის გაწერილი რეკომენდაციები, რომლებიც მესამე სტანდარტს უკავშირდება გარკვეულწილად კავშირში არის უშუალოდ სტუდენტების ინფორმირებასთან, ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება აირჩიონ და დაგეგმონ სემესტრი ინდივიდუალურად სასწავლო გრაფიკის მიხედვით. როდესაც თვითშეფასებაში და მათ შორის პირადი მონაცემებზე დაყრდნობითაც, იქიდან გამომდინარე, რომ ის იცნობს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კურსთან მუშაობას, მისი თქმით იმ უნივერსიტეტიდან სტუდენტები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ნათელს ფენს, რომ ისინი ჩართულები არიან აქტივობებში. ასევე მათი ბევრ საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტში მონაწილეობის სიხშირე აქტიურია. აქედან გამომდინარე მას გაუჩნდა კითხვა მეათე და მეთერთმეტე რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისი აზრით ეს რეკომენდაციები რჩევის სახით უნდა წარმოდგენილიყო. ის ფაქტი, რომ სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ არჩევითი საგანი, მისი თქმით ეს განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ისინი ირჩევდნენ ამ არჩევით საგნებს. მან განმარტა, რომ ამ ორ რეკომენდაციაზე მოისმენდა მათ პოზიციას.

ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ მათი რეკომენდაციები ეხებოდა სტუდენტების მეტ შესაძლებლობებს აქტიურად ჩართულიყვნენ სხვადასხვა პროექტში და სტუდენტურ ცხოვრებაში, რაც თავისთავად სტუდენტების სურვილებიდან გამომდინარეობდა. ამიტომაც რეკომენდაცია სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად იყო დაწერილი და არ ნიშნავდა იმისა, რომ უნივერსიტეტი აღნიშნული საშუალებას სტუდენტებს საერთოდ არ აძლევდა, არამედ პირიქით და უკეთესი იქნებოდა უფრო მეტადაც მიეღო მონაწილეობა მათ ამ საქმიანობაში.

რაც შეეხება სემესტრის დაგეგმვას, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ შეკითხვა დასვა რატომ არ შეეძლო სტუდენტს თავად დაეგეგმა სემესტრი და გაენაწილებინა დრო, ანუ მაგალითად სემესტრში აერჩია 2 სავალდებულო და 3 არჩევითი საგანი.

თავმჯდომარემ ასევე ახსენა სხვა რეკომენდაციებიც და შეეხო აკადემიური პერსონალის ტრენირების საკითხს. ექსპერტთა ჯგუფის თქმით პროგრამა აღწევდა მიზანს, მაგრამ იქ

საკითხი იყო თავად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატრენინგებაზე და არა იმ პირთა მიერ ტრენინგის გავლა, რომლებიც უკვე არიან წარმატებულები, მათ ტრენინგი აღარ სჭირდებათ.
ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ ხშირია შემთხვევები როდესაც სამედიცინოს კურსდამთავრებულებს რთავენ აკადემიურ ცხოვრებაში, რაც ბევრია და მართლაც მისასალმებელია.
სხდომის თავმჯდომარემ, დაამატა რომ ის საკითხი რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა, ნამდვილად მწვავე პრობლემა იყო და მის ასახვას ნამდვილად აქვს ადგილი რეკომენდაციების და დასკვნის თვალსაზრისითაც. შესაბამისად ის, რომ სილაბუსებში მიზნები იყოს აცდენილი, შედეგები არ ემთხვეოდეს ან თავად პროგრამას იყოს აცდენილი, მას ნებისმიერ შემთხვევაში კავშირი აქვს სტანდარტებთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა იკითხა თუ რა იყო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, ანუ რა კვალიფიკაციის მქონე ადამიანი ირიცხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე. აღნიშნულზე პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს ნებისმიერი ბაკალავრ დამთავრებული სტატუსის მქონე პირი, რომელსაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს სწავლებაში. შესაბამისად, არაა სავალდებულო ეს იყოს მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის ექსპერტთა დასკვნას და დაწესეულების წარმომადგენელს ნაწილობრივ ეთანხმებოდა და ნაწილობრივ არ ეთანხმებოდა. მისი თქმით, ძნელი წარმოსადგენია თუ რა იგულისხმება სტუდენტის „მეტ სურვილში“, რადგან როგორც ნახსენები იყო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა სტუდენტების აკადემიურ ცხოვრებაში. რადგანაც ეს პროგრამა მენეჯმენტთან იყო დაკავშირებული, რომლის მთავარი დამახასიათებელი გაზომვითობა არის, ძნელი წარმოსადგენია სტუდენტს რა ეგონა და რა სურდა, როდესაც უნივერსიტეტი ასე თუ ისე ახორციელებდა თავის როლს. თუ უნვერსიტეტს საიტზე უდევს თუ რა პროგრამას სთავაზობენ ისინი სტუდენტებს, მაშინ სადაო არაფერია, ხოლო თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა, რა თქმა უნდა ეს უნივერსიტეტის დანაშაულია. გიორი თურქია ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ facebook არის არაფორმალური საშუალება საკომუნიკაციოდ. ხოლო რაც შეეხება სილაბუსების კრიტიკას, ის სრულად ეთანხება ექსპერტთა რეკომენდაციას. კონრეკტულად კი ძირითადი საგნების სილაბუსები სრულად იყო ინფორმირებული, ხოლო არჩევითში უფრო ნაკლები ინფორმაციაა და მისი აზრით, სტუდენტისთვის ასეთი საგნის არჩევა ძნელი გადასაწყვეტია. შესაბამისად მისი აზრით, ძნელია თუ როგორ უნდა გადაწყვეტიოს სტუდეტნტმა რომელი საგანი აირჩიოს. მისი რჩევა იყო და უკეთესიც იქნებოდა, რომ სტუდენტებს უფრო მეტად ფინანსური, დანახარჯები, კალკულაცია და მსხგავსი საკითხები შეესწავლათ ამ პროგრამაზე. შესაბამისად, ის ეთანხმება ექსპერტებს, რომ სილაბუსები მეტად უნდა დაიხვეწოს.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა და  დაეთანხმა მოსაზრებას არჩევით საგნებთან დაკავშირებით და ბრძანა, რომ არსებოს ხარვეზები, რაც აუცილებლად გამოსწორდებოდა, რადგან მართლაც არსებობდა გადაფარვა და პროცენტულობის განსაზღვრის საჭიროება. ასევე მან დაამატა, რომ განმარტებითი ნაწილი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანიშვილმა დაამატა, რომ პროგრამას სერიოზული პრობლემები აქვს ხარისხთან დაკავშირებით, გარკვეული შეუსაბამობები იყო საგნების დასახელებასთან და სილაბუსებთან დაკავშირებით. ასევე დასვა კითხვა, თუ როგორ ანაწილებს უნივერსიტეტი კრედიტებს იმ სამ კურსზე, რომელიც მეხუთე რეკომენდაციაში იყო აღნიშნული.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ის ეთანხმებოდა კრედიტების მისანიჭებლად სემესტრების გაყოფას და შესაბამისად ეთანხმებოდა ამ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრის ნიკა თინიკაშვილის თქმით, საჭირო იყო ფორმულირების შეცვლა და საქმე არ ეხეობოდა მხოლოდ სემესტრის გაყოფას, რადგან შესაძლებელია მინისტრის ბრძანების დარღვევა იყო პროგრამასთან მიმართებით, რაზეც საბჭოს უნდა ემსჯელა.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, საქმე ეხებოდა კანონმდებლობის დარღვევას და როცა აღნიშნული ხდება, ექსპერტებს უფრო მეტად უნდა გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ რეკომენდაციის სიმწვავე უფრო მეტია, უფრო რთულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს, ვიდრე უბრალოდ მეტწილობა. თუ აღნიშნული კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა საბჭოს უნდა ემოქმედა, ანუ თუ ირღვეოდა მინისტრის ბრძანება, რომელიც ეხებოდა კრედიტების განაწილებას და დისკრეციულ უფლებამოსილებას აძლევდა უნივერსიტეტს, მაგრამ კონკრეტულ ფარგლებში. მისი თქმით უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება ამაზე პოზიციას გამოთქვამდა.

მოსაუბრის თქმით, სავარაუდოა რომ ეს შეცდომა იყო, რადგან აღნიშნული საკითხი ნამდვილად მინისტრის ბრძანების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. მისი თქმის არსებობს ორ სემესტრიანი საგნები, სადაც არ არის კრედიტების რაოდენობა გამიჯნული, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო.

საბჭოს წევრმა ნიკა თინიკაშვილმა დასვა შეკითხვა, თუ რატომ აქვს უნივერსიტეტს გაყოფილი სხვადასხვა სემესტრში საგანი. ასევე მან იკითხა, ხომ არ ფიქრობდა უნივერსიტეტი, რომ აღნიშნული შესაძლოა პრობლემა გამხდარიყო სტუდენტისთვის. რადგანაც თუ ის ვერ მოახერხებდა კრედიტის ათვისებას, მას შესაძლოა ერთი სემესტრი დამატებოდა.

დაწესებულების წამომარგენლის განმარტებით, სტუდენტი პირველ სემესტრში დააგროვებდა შესაბამის შეფასებას, 6 კრედიტს, ხოლო დამატებით მომდევნო სემესტრში დამატებით 2 კრედიტს. აღნიშნული დაყოფა თავად საგნის ხელმძღვანელის მოსაზრება იყო, ანუ რომ ეს საგანი ორი სემესტრის განმავლობაში უნდა ისწავლებოდეს. მისი თქმით სილაბუსში არ იყო აღნიშნული საგნის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ, რაც მისი თქმით, გამორჩენილი იყო.

საბჭოს წევრს პაატა ბრეკაშვილს ჰქონდა ორი შეფასებითი კომენტარი. მენეჯმენტის საგანი, რომელზეც უკვე იქნა კომენტარი გაკეთებული, საჭიროებდა ხელის შევლებას, რადგან საჭირო იყო ლიტერატურის და ასევე სილაბუსის განახლება. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრი ტექნიკური ხარვეზი არსებობდა, რაც პროგრამაში ძალიან ცუდად იკითხებოდა და ხარისხს სთხოვა უკეთესად გადაემოწმებინა დოკუმენტები, რადგანაც ასეთი სახით სტუდენტებისთვის მიწოდება გაურკვევლობას წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს და თქვეს, რომ გაითვალისწინებდნენ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლითა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი -1

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, 2.2 და 2.6 ქვესტანდარტები შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, შესაბამისად მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”. ასევე, 5.1 და 5.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”. შესაბამისად მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) დაიხვეწოს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნის ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად;
ბ) დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად;
გ) „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში მეტად გამოიკვეთოს დარგის სპეციფიკა;
დ) დაიხვეწოს მენეჯმენტის, ეკონომიკის, ფინანსების მიმართულებით სასწავლო კურსების თემატიკა და შინაარსი;
ე) საგნების სილაბუსები, განსაკუთრებით არჩევითი საგნების, დაიხვეწოს ისე, რომ სტუდენტს მისი არჩევის მიზანშეწონილობის შესაფასებლად ჰქონდეს წარმოდგენა საგნის შინაარსსა და ძირითად თემატიკაზე;
ვ) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტს -„სასწავლო-პროფესიულ პრაქტიკას“ -განესაზღვროს ლოგიკური წინაპირობა;
ზ) საგნებში: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები“, „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება“ გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და ამ საგნების განხორციელების პრაქტიკა აისახოს სილაბუსებშიც;
თ) საგნების ( მაგალითად, „პროექტის დაწერა“, „ეპიდემიოლოგია I, „ეპიდემიოლოგია 2“) სილაბუსები, განახლდეს უახლესი და კვლევებზე ორიენტირებული ლიტერატურით;
ი) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის “სასწავლო - პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსში გაიწეროს უშუალოდ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, სადაც ჩართული იქნებიან დამსაქმებელი, ან მენტორი;
კ) უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ტრენინგები სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიაში, ასევე სწავლის შედეგების ფორმირების კუთხით;
ლ) გაუმჯობესდეს ხარისხის შიდა მექნიზმები, ყურადღება მიექცეს სამაგისტრო პროგრამის და სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსების ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართულობას;
მ) ხარისხის სამსახურმა მიაქციოს ყურადღება, როგორც სამაგისტრო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსების/კომპონენტების მიზნებისა და შედეგების ფორმულირებას და მათ ურთიერთშესაბამისობას;
ნ) მიექცეს ყურადღება განათლების მინისტრის N3 ბრძანებით განსაზღვრული კრედიტების გაანგარიშების სისტემის ეფექტურ დანერგვასა და სილაბუსთან შესაბამისობაში მოყვანას;
ო) განხორციელდეს პერიოდული შეფასება და მონიტორინგი, გადაიხედოს პერიოდულად სილაბუსები, განხორციელებული ცვლილებები აისახოს შესაბამის პროგრამასა და სილაბუსებში.

**გადაწყვეტილება**

- პირობითი აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3 [1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

2. **მეორე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | არქეოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2017 წლის 28 დეკემბერი, № 71 გადაწყვეტილება. |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77 ა. |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხოდმის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს თხოვა მოკლედ მიმოეხილათ თუ რა საფუძვლებით განხორციელდა მონიტორინგი, რა შემოწმდა და რა შედეგებით იქნა მიღებული.
ექსპერტმა ემზარ კახიძემ განმარტა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის 2017 წლის 28 დეკემბრის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა შესრულებულიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:
უნდა გაძლიერებულიყო კვლევითი კომპეტენციის გამომუშავების საჭირო კურსები, მათ შორის დარგობრივი კვლევითი და მისი ცოდნის და კომპეტენციების დამდგენი კურსების სწავლება გარკვეულ საგნებში, მაგალითად გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, უნდა მომხდარიყო შინაარსის შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა. უნდა მომხდარიყო არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების უფრო მკაფიო გამიჯვნა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 23 მარტის ბრძანების თანახმად, ბატონმა ნოდარმა და ემზარ კახიძემ დისტანციურად განახორციელეს მონიტორინგი და დადგინდა რომ შეფასების პირველი, მეორე, მეოთხეს პირველი და მეხუთეს მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. ერთადერთი შენიშვნა რომელიც ექსპერტებს ჰქონდათ აღნიშნული პროგრამის მიმართ მდგომარეობს შემდეგში: სილაბუსებში და საკთრივ პროგრამაში სწავლის შედეგებზე გასვლის ცოტა მოძველებული სტანდარტებია გამოყენებული. მაგალითად ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის, ღირებულების, დასკვნის, სწავლების უნარი, უმაღლესი განათლების განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციებიდან გამომდინარე ექსპერტებმა პროგრამის მესვეურებს ურჩიეს, რომ გაემსხვილებინათ სწავლის შედეგები, რომლებიც რელევანტური იქნებოდა დარჩენილიყო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. მიღებული პასუხიდან გამმდინარე, საჭირო იყო დრო, რომელიც დაწესებულებას გააჩნია.
საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა თინა ღუდუშაურმა ისაუბრა, რომ რეკომენდაციები რომლებიც ექსპერტების მხირდან იყო მოცემული, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. პირველ რიგში ეს შეეხებოდა ერთი დამატებითი კურსის შეთავაზებას, რადგანაც გათვალისწინებულია შუა საუკუნეების არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტებმა სავსებით მართებულად გამოთქვეს მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა ამის საპირწონედ ყოფილიყო არაქრისტიანული არქეოლოგიის სამაგისტრო კურსი. პროგრამის ხელმძღვანელობამ თავიდანვე გაითვალისწინა ეს და მონიტორინგის პროცესშიც ეს კურსი დამატებული იყო. რაც შეეხებოდა გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, აღნიშნული კურსის შინაარსის და შედეგების თავსებადობის უფრო მკაფიოდ წარმოჩენას, აღნიშნული ასევე გათვალისწინებულ იქნა და ეს შედეგები ისე იყო დალაგებული, რომ თემატიკა უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო. რაც შეეხება გამიჯვნას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის ექსპერტებს მათ შორის სხვაობის გარჩევა არ გაჭირვებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ თქვა, რომ მონიტორინგის შედეგი რაც იყო, ანუ საგნის დამატება განხორციელდა თუმცა არ იყო წარმოდგენილი სილაბუსი რის გამოც ვერ მოხდა მისი გაცნობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ მისთვის მიწოდებულ მასალებში აღნიშნული სილაბუსი იყო.
სხდომის თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტებს ისე დაწესებულების წარმომადგენლებს და უთხრა, რომ გადაწვეტილების შესახებ შეატყობინებდნენ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება**

საბჭომ, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**3. მესამე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 2019 წლის 05 ივლისის N156 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ტურიზმის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის N1;<br>საქართველო, ქ. ბათუმი, 6000, თაყაიშვილის ქუჩა N36 - 38 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრებმა გურანდა ჭელიძემ, პაატა ბრეკაშვილმა და ნიკოლოზ კიკნაძემ.
თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სიაში დაემატოს ტურიზმის სპეციფიური საგნები;
• პროგრამის სასწავლო კურსების . კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ და „ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები“ დახვეწა;
• აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევის საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება;
• საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, იყოს როგორც, სავალდებულო კომპონენტი;
• „ტურიზმის სამართლისა და პოლიტიკის“ სილაბუსი დაიხვეწოს და შესწორდეს;
• საგანმანათლებლო პროგრამაში პერსონალის მოზიდვა, აკადემიური პერსონალის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა;
• ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა;
სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას მონაწილეობისთვის და განაცხადა, რომ საბჭო განიხილავდა კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამის ანგარიშის შედეგებს. ამ პროცედურაში არაფერი იყო განსაკუთრებული, საბჭო წინასწარ გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, უბრალოდ ერთადერთი საკითხი რის გამოც შეიკრიბა საბჭო არის სამართლებრივი ნიუანსების დაზუსტება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ერთადერთი საკითხი, რის შესახებაც საბჭო იყო შეკრებილი მცირე რეზიუმეს სახით შეეძლოთ წარმოედგინათ ანგარიში, თუმცა არსებითი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ერთ დეტალზე, რომელიც ეხებოდა განხორციელების ადგილის დამატებას. ეს იყო ის საკითხი, რის გამოც დაწესებულებას და ცენტრსაც უნდა წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია, ვინაიდან აკრედიტაცია თავის დროზე გაცემულია ერთი ადგილის მითითებით, ხოლო საბჭოზე ხდებოდა ბათუმის დამატება. საბჭოს სურდა ამ სამართლებრივი დეტალის დაზუსტება დაწესებულების წარმომადგენელთან.
ცენტრის წარმომადგენლის ლაშა მარგიშვილის განმარტებით, მოქმედი რეგულაციების თანახმად დაწესებულება როდესაც იმატებს ფართს არ აქვს მნიშვნელობა ეს ხორციელდება იგივე მუნიციპალიტეტში თუ სხვა მუნიციპალიტეტში, ამას უნივერსიტეტი ახორციელებს ავტორიზაციის გზით. შესაბამისად დაწესებულებას შეეძლო ფართი დაემატებინა როდესაც დაწესებულება გადის ავტორიზაციას და ავტორიზაციის მიღების შემდგომ არის სპეციალური პროცედურა როდესაც დაწესებულება მომართავს განცხადდებით, როდესაც ფართს შეიცვლის და დაწესებულებაში ხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. შესაბამისად პირდაპირ აკრედიტაციის მეშვეობით, აკრედიტაციის პროცესში დაწესებულება ფართს ვერ დაიმატებს, ვერც სხვა შენობაში გადავა, რომელიც იგივე მუნიციალიტეტში შეიძლება მდებარეობდეს და ვერც მუნიციპალიტეტს ვერ შეიცვლის. კავკასიის უნივერსიტეტმა როდესაც მიიღო

ავტორიზაცია 2014 წელს მან გაიარა ავტორიზაცია ორივე ფართზე, როგორც თბილისში, ასევე ბათუმის მისამართზე. შესაბამისად მას ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა პროგრამები, როგორც ბათუმის, ასევე თბილისის ფართში. მოქმედი რეგულაციები აკრედიტაციის 2019 წლის სექტემბრამდე არ ითვალისწინებდა ფართის მითითების საკითხს საბჭოს გადაწყვეტილებებში. საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია 2019 წლის ზაფხულამდე, ვთქვათ გაზაფხულზე, ზამთრის პერიოდში ან 2018-2017 წლების ან კიდევ უფრო ადრე, იქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ დაწესებულებას მიეცა უფლებამოსილება განეხორციელებინა პროგრამა და არ იყო ფართი მითითებული, თუმცა შემდგომ პერიოდში, 2019 წლის განმავლობაში შეიცვალა მიდგომა, ცენტრმა შეიმუშავა სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილების ნიმუში აკრედიტაციის საბჭოსთვის, რომელიც საბჭოს გაუზიარა წინასწარ და უკვე როდესაც 2019 წლის სექტემბრიდან აკრედიტაციის საბჭო იღებს დადებით გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების ფორმაში აუცილელად უნდა იქნეს მითითებული კონკრეტული ფართი, თუ რომელ ფართში ახორციელებს დაწესებულება კონკრეტულ პროგრამას. აქედან გამომდინარე მოსაზრება მდგომარეობს შემდეგში, რომ როდესაც ამ პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, მაშინ არ იყო ეს ფორმა შემუშავებული და ბუნებრივია ამ ფორმაში ვერ აისახებოდა კონკრეტული მისამართები, თუ რომელ მისამართზე ჰქონდა მას პროგრამების განხორციელების უფლება, თუმცა კიდევ ერთხელ დაამატა, რომ სამართლებრივად, რომ ვიმსჯელოთ პროგრამის აკრედიტაცია არ ებმის კონკრეტულ ფართს. ეს შეიძლება პროცესის ხარვეზი ყოფილიყო, ან შეიძლება არ ყოფილიყო, თუმცა ეს იყო რეალობა რაც იყო. ფართს დაწესებულება იმაებს ავტორიზაციის მეშვეობით. ამიტომ როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში კონკრეტულ პროგრამაზე, მითითებული იყო, რომ მათი სურვილი იყო განეხორციელებინა აღნიშნული პროგრამა, როგორც თბლისში, ასევე ბათუმში და ამ პროგრამას ორივე მისამართზე ახორციელებდა ფაქტია უკვე წლების განმავლობაში, მათ შორის როდესაც ავტორიზაცია გაიარა და შესაბამისად როდესაც მოხდა ბათუმის ფართის დათვალიერება ავტორიზაციის ფარგლებში, იქ მოხდებოდა რესურსების და შესაბამისობის დადგენა იმ პროგრამებთან მიმართებით რა პროგრამებიც იმ დროს იქ ხორციელდებოდა. ეს იყო ზოგადი განმარტება, რომელიც ამ ეტაპზე შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი.

სხომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ლაშას ამომწურავი პასუხისთვის და საბჭოს, რომ შეეჯამებინა სამართლებრივად, ავტორიზაციის პროცედურა არის ის პროცედურა რომელიც განხორციელების ადგილთან და ფართთან დაკავშირებით ადგენს სტანდარტს და ამ სტანდარტს სრულად აკმაყოფილებს უნივერსიტეტი. რაც შეეხებოდა აკრედიტაციას ეს მხოლოდ ფორმის პრობლემა იყო.

ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ როდესაც დაწესებულება გადის ავტრიზაციას ორ ან სამ მისამართზე, ექსპერტთა ჯგუფი აუცილებლად ამოწმებს მას კონკრეტულ მუნიციპალიტეტში, რომელი პროგრამები განხორციელდება და ამ ინფორმაციიდან გამომდინარე კეთდება შეფასება.

საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა ცენტრის წარმომადგენელს ლაშა მარგიშვილს, კერძოდ, დაწესებულებას რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია სამომავლოდ ხომ არ მოუწევთ ისეთი ცუდი პრაქტიკის შემოღება, რომ უნივერსიტეტში გაიაროს აკრედიტაცია და მეორეში ჩაეთვალოს მეორე მისამართი და იქ ვერ აკმაყოფილებდეს.

ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ის მეორე მისამართი რომელიც უნდა დაიმატოს ამ დაწესებულებამ, თუ მას უნდა იმ მეორე მისამართზე განახორციელოს სასწავლო პროცესი, ის ყოველთვის იქნება შეფასებული ავტორიზაციის ფარგლებში. კერძოდ რამდენად არის ის მატერიალური რესურსები, ბაზა, აღჭურვილობა საკმარისი, რომ იქ განხორციელდეს კონკრეტული პროგრამა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა